



Ambassade de France  
en Géorgie

# ვიზა პასპორტი-ტალანტი



თუ ხართ უცხოელი და გსურთ საფრანგეთში მუშაობა 3 თვეზე მეტი ხნით, თქვენ შესაძლებლობა გექვსათ მიიღოთ საფრანგეთში მრვალწლიანი საცხოვრებელი ბარათი «პასპორტი-ტალანტი». აღნიშნული ბარათი შესაძლებელია გაიცეს მრავალ სიტუაციაში, განსაკუთრებით თუ ხართ მაღალკვალიფიციური, თუ გსურთ საფრანგეთში საწარმოს გახსნა ან ინვესტირება, ან თუ ხართ ხელოვანი. ეს ბარათი ძალაშია 4 წლით და შესაძლებელია მისი განახლება.

### ვის შეუძლია მოითხოვოს:

1. ახალგაზრდა კურსდამთავრებული მუშაკი ან ახლად დაარსებული ინოვაციური საწარმოს მუშაკი
2. მაღალკვალიფიციური სპეციალისტი (ევროპის ლურჯი ბარათი)
3. საფრანგეთში სამუშაო ხელშეკრულების მქონე მივლენილი მუშაკი
4. მაძიებელი
5. საწარმოს დამაარსებელი
6. ინოვაციური ეკონომიკური პროექტის შემქმნელი
7. ეკონომიკური ინვესტორი
8. სოციალური ოფიცერი
9. ხელოვანი
10. უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს თავისი ქვეყნის ან საერთაშორისი აღიარება (მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, განათლება ან სპორტი)

### სად მოვითხოვო:

**თუ იმყოფებით საქართველოში** – შესაბამისი ვიზის მისაღებად უნდა მიმართოთ საფრანგეთის საელჩოს საკონსულო სამსახურს თბილისში.

**თუ იმყოფებით საფრანგეთში** – ამ ბარათის მიღებაზე მოთხოვნა უნდა შეიტანოთ პრეფექტურაში (ან ქვე-პრეფექტურაში) თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოქმედი საცხოვრებელი ბარათის ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე.

სრული ინფორმაციისთვის მიმართეთ:

საქართველოში საფრანგეთის საელჩოს საკონსულო სამსახური

ტელ.: +995 32 272 14 01 ან ელ-მისამართი: [consulat.tbilissi-amba@diplomatie.gouv.fr](mailto:consulat.tbilissi-amba@diplomatie.gouv.fr)

[www.ambafrance-ge.org](http://www.ambafrance-ge.org)